# ნაკადული



1927

№ 8

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შინაარსი.

1. სურათი—

2. სიმღერა—ლექსი—კ. ლორთქიფანიძისა . . . . . . . . . . . . . . . 2

3. ლექსო და თოვლიანი კლდე—ქ. მღივნის . . . . . . . . . . . . . . 4

4. კვირა დილა სოფელში—ლექსი ი. პოლუმარდვინოვის . . . . . . . . . 9

5. ხომალდი ზაჰესი—მაყვალა-ზაირა . . . . . . . . . . . . . . . . 11

6. ალაზნის ველზე—ლექსი—შალვაშვილის . . . . . . . . . . . . . . 17

7. სპილოს მეხსიერება—ნინო ნაკაშიძის . . . . . . . . . . . . . . . 18

8. მელია და მაჩვი—ნინოსი . . . . . . . . . . . . . . . . . . . 19

9. თაფლა ცხენი—სეტოვის . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 25

10. ქრისტაფორე კოლუმბი (თარგმანი) ჩერქეზიშვილისა . . . . . . . . . 27

ბავშთა შემოქმედება: 1) თბილისიდან ბათომამდე. მიხაკო ფარცხალაძე 2) ნაკადული—აკაკი სოსიავა 3) მეხრეს სიმღერა 4) ბამბის ქარხანა. მიხეილ ჯარიაშვილის.

---

**ნაკადულის თანამშრომლებს და მკითხველებს.**

ჟურ. ნაკადულის რედაქცია გთხოვთ გადმოგზავნოთ 28 აგვისტომდე, ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის აღსანიშნავათ მასალები.

რედაქცია.

# ნაკადული



მე-XXIII წ. | № 8 | აგვისტო | 1927 წ.

განათლების სახალხო კომისარიატის სოც. აღზრდის მთავარმართველობის და საქ. ა. ლ. კომკავშ. ცენტრ. კომიტ. ჟურნალი ბავშებისათვის.



ბავშები ბანაობენ წყალში

F 1929

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# სიმღერა

განთიადი ათამაშდა
ცამდე ასულ მთების წვერზე,
და სხივები გადმოყარა
მობიბინე მწვანე ველზე.
გამორბიან კარავიდან,
აბა ჩქარა, აბა ჩქარა!
სათამაშოდ, სანავარდოდ
გვიხმობს, კივის ეს ნაღარა.
სიცილი და ჟრიამული
მოსდებია ფართე ველებს;
ცეკვა-ხტუნვით, სიხარულით
მისმახიან ჭალის ღელეს.
გავიზრდებით, გავიშლებით,
დაგროვდება ღონე მკლავში
და თქვენსავით, მოხუცებო,
სამუშაოდ მკლავებს გავშლით.

კ. ლორთქიფანიძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# ლექსო და თოვლიანი კლდე.

(კინო-მოთხრობა.)

შუა ზაფხული იყო. ქუჩებსა და სახურავებს სიცხის ალმური ასდიოდა. მცხუნვარე მზე თითქმის ყოველივეს ცეცხლის კალოსავით ატრიალებდა.

კინო-მრეწველობის ფაბრიკაში ხელოვნურად უზარმაზარი კლდე აეშენებიათ, რომელზედაც რამოდენიმე საჟენის სიმაღლეზე ანკარა დიდი აქაფებული ჩანჩქერი გადმოქუხდა. კლდე გარშემო დაბალი ბუჩქებითა და ბალახებით იყო დაფარული, რომელზედაც თხელი და ნაზი თოვლი ზამთარივით გამოიყურებოდა. პატარა ლექსო კლდეს მიუახლოვდა, გაკვირვებულმა დაუწყო ცქერა და ამბობდა: „ეს ხომ ნამდვილი კლდეა, ნამდვილი ჩანჩქერია, რომლის მსგავსი მე ტფილისის ბოტანიკურ ბაღში მინახავს, მაგრამ ეს თოვლი საიდან არის შუაგულ ზაფხულში, როდესაც მზე ყველაფერსა სწვავს?“ ლექსოს ოფლის ღვარი მოსდიოდა, მაგრამ როდესაც თოვლიან ვეებერთელა კლდეს შეხედა, ზამთარი მოაგონდა და უნებლიედ ცივად გააჟრჟოლა. იქვე მდგომმა ლექსოს მამამ ლექსოს გაჟრჟოლება შეატყო, გაეცინა და ჰკითხა:

— რა მოგივიდა, ბიჭო, განა მართლა თოვლი გგონია, რომ შეგცივდა ამ სიცხეში? მიდი ახლოს და ნახეს!

ლექსომ პატარა კიბე მარდად აირბინა და თოვლიან კლდეს მიუახლოვდა. თოვლს ხელი შეახო. თოვლი გახურებულ რკინასავით ცხელი იყო. ლექსოს გაეცინა, თოვლს კიდევ მეტად დაუკვირდა და იცნო, რომ თოვლის მაგიერ კლდეზე კირი ეყარა, რომელიც თოვლის შთაბეჭდილებას ახდენდა. ლექსომ მამასთან მიირბინა და ჰკითხა, თუ რად იყო საჭირო ეს უზარმაზარი ხელოვნური კლდე. მამამ მიუგო:



— აი, შვილო, ნახევარ საათში ნახავ, თუ რა საჭიროა.

ლექსო მოუთმენლად უცდიდა ნახევარ საათის გასვლას და კინოფაბრიკის ეზოში სხვადასხვა აშენებულ შენობებს ათვალიერებდა. ერთ კუთხეში ვეებერთელა სახლები თხელი კარდონებით იყო აშენებული, ოთახების მხოლოდ სამ-სამი კედელი იყო მთლად აშენებული, მეოთხე კედელი და სახურავი სრულიად არ ჰქონდა. ლექსო ერთ-ერთ მომუშავეს მიუახლოვდა და ჰკითხა:

— რატომ მთლად არ აშენებენ სახლს, ან სახურავი რატომ არა აქვს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომუშავემ მიუგო:

— სახურავი და მეოთხე კედელი საჭირო არ არის, ვინაიდან გადაღების დროს უხერხული იქნება და სინათლეც არ ეყოფა, რადგან კედელი მზეს დაჭფარავს, ან და გასანათებელ აპარატებს ვეღარ მოვათავსებთ ოთხ კედელს შორის.

ლექსო კარდონის კედლებს მიუახლოვდა, ხელით შეეხო და იკითხა:

— კი, მაგრამ კინოში რომ დიდ ოთახებს გვიჩვენებენ ხოლმე, ყველა ასეა აშენებული, ამნაირი კარდონებით?

— ყოველთვის ასეთია,—მიუგო მომუშავემ.



ხელოვნურად აშენებულ დიდი თოვლიანი კლდის გარშემო რეჟისორი, ოპერატორი და მსახიობები შეგროვილიყვნენ.

ლექსომ ხალხი შენიშნა და მათკენ გაიქცა.

ორი მსახიობი საზამთრო ქურქებში იყო გახვეული. მათ ვითომ სციოდათ, ცახცახობდენ და კირით გათეთრებულ ჩექმებს მიწაზედ აფართხუნებდენ, ვითომ თოვლს იბერტყდენ. ლექსოს გაეცინა. მსახიობმა, რომელიც ქურქში იყო გამოხვეული, ლექსო შენიშნა, მიუახლოვდა და ხელი თავზე გადაუსვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არ გჯერა, პატარა ბიჭო, ჩვენ რომ ახლა გვცივა?

— არა, თქვენ კი არ გცივათ, ძალიანაც გცხავთ, მაგრამ იგონებთ,—მიუგო ლექსომ. მსახიობმა გაიცინა. რეჟისორი და ოპერატორი ამაღლებულ ადგილზე იდგენ. მუშებს ხელში დიდი ბრჭყვიალა თუნუქის ფირფიტები ეჭირათ მზეზე. და კლდეს ანათებდენ.

— მოემზადეთ!—დაიყვირა რეჟისორმა.



საზამთრო ქურქებში გახვეული ორი მსახიობი კლდეზე გადებულ ვიწრო ხიდს მიუახლოვდა. რეჟისორმა ბრძანება მისცა რომ დაეწყოთ. ერთი მსახიობი ხიდზე გაიქცა, მეორე გამოეკიდა და შუა ხიდზე დაიჭირა. ორი მსახიობი ვიწრო, მაღალ ხიდზე ერთმანეთს ეჩხუბება. ხან ერთი აპირებს გადავარდნას და ხან მეორე. ბოლოს მეორე მსახიობმა პირველს მთელი ძალ-ღონით სახეში შემოჰკრა და ყირამალა გადაუშვა კლდეზე, მაგრამ გადავარდნილი მსახიობი წინდაწინვე გაკეთებულ ბადეში ჩავარდა, ასე რომ არავითარი ვნება არ მიჰყენებია.

— კარგია!—დაიძახა რეჟისორმა.—მოიტანეთ ტამლი!

მუშებმა მოარბენიეს გადავარდნილი მსახიობის ტამლი, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელსაც წარბები, თვალები და თმა გაკეთებული ჰქონდა.

ტამლი ნახერხით იყო გატენილი. გადავარდნილ მსახიობს გახადეს კოსტიუმი და ტამლს ჩააცვეს.

მსახიობის ტანსაცმელში გამოწყობილი ტამლი აიტანეს მაღალ კლდეზე და ჩანჩქერზე დააგორეს, ოპერატორი აპარატის ტარს ატრიალებდა, ტამლს კი ჩანჩქერი ჯერ კლდეებზე აჯახებდა და ბოლოს უფსკრულში გადააგდო. გაკვირვებული ლექსო



სულგანაბული მისჩერებოდა. ტამლი კლდიდან ამოიღეს, ტანისამოსი გახადეს და ისევ მსახიობს ჩააცვეს. მსახიობს გრიმიორი მიუახლოვდა და სახე წითელი საღებავით დაუსვა, ვითომ სისხლი სდიოდა. ჩაცმული და საღებავით გასისხლიანებული მსახიობი ჩანჩქერის ძირში დააგდეს, ვითომ ზემოდან მკვდარი ჩამოვარდა. ოპერატორი მივიდა და კლდეზე დაგდებული გასისხლიანებული მსახიობი გადაიღო.

გავიდა რამდენიმე თვე. ლექსო დედამ და მამამ კინოში წაიყვანეს. ლექსომ დაინახა უზარმაზარი თოვლიანი კლდე, ხიდი და დიდი ჩანჩქერი. ბოროტი კაცი ხიდზე გაიქცა. მოწი-

ნააღმდეგე მას დაეწია, ხელი ჰკრა და ხიდიდან გადააგდო. გადავარდნილი კაცი ჩანჩქერმა გაიტაცა, დამტვრეული და დასისხლიანებული კლდეზე გადაჩეხა. კაცი მოკვდა. პატარა ლექსოს თვალები სიხარულით გაუფართოვდა და მამას შეეკითხა:

— მამა! ესენი ხომ ის მსახიობებია, გადაღებაზე რომ ვნახეთ? მე ის კლდე თოვლიანი მეგონა.

მამას გაეცინა, შვილს ხელი მოხვია და მიუგო:

—კინომ ასეთი მოტყუება იცის, შვილო!

ჟ. მ.



# კვირა დილა სოფელში.

მზის ოქროს გული ენთება ცაზე
და სიამაყით დაცურავს მშვიდად,
აფრქვევს მწველ სხივებს ტყეებზე, მთაზე
და უცქერს სოფელს ღრუბლების ზღვიდან.

იღვიძებს სოფლის ნათელი დილა,
ჟივილ-ხივილი ისმის ბავშვების,
დაქრის ნიავი საამოდ, გრილად
და ჸლურტულებენ ტყეში შაშვები.

აყვავებული ჭრელად მინდორი
მოგავს ლამაზად ნაქარგ ხალიჩას,
ძინავს ყვავილზე ნამს ჩამოვარდნილს,
რბილი ფოთოლი უძევს ბალიშად.

პატარა ბორცვის დახრილ ფერდოზე
ნაკადულს ქვები ჩაჰხუტებია,
ცივი ალერსით ქვიშიან კორდებს
უსწორო გზები უჩვენებია.

„ნეტავ მის გვერდზე გადამატარა,
კოხტად მორთული ველი რომ არი,“
ფიქრობს მწუხარვალედ, ფიქრობს პატარა
და ისევ მოხტის ცელქად მხტომარი.

იშლება მთაზე ხარები ბლომად
და ცხვრების ფარა თეთრად მღელვარებს,
დაბლა უგიათ მწვანე იონჯა,
მაღლით დასცქერის ცა მოელვარე.

შრიალებს ყანა დაოქრულ თმებით
და ტარო-ტაროს ებაასება,
ურმის ჭრიჭინის ძვირფასი ხმები
მათ აყვავებას ეალერსება.

შიგ სოფელში კი სახემღიმარი
ეშურებიან გლეხები გარედ,
სადაც მოძმეთა მშრომელი მკლავი
დასვენებაში დღეს გაატარებს.
ქოხ-სამკითხველოს იღება კარი
და ბზინავს თარო წიგნებით სავსე,
კედელზე წითლად ღვივის ნახატი
და იქვე მოჩანს ლენინის სახე.
აქ ბაასია გლეხების შორის,
აქ ახალ ამბებს გებულობს ყველა;
თუ რა კარგია სოფლად ტრაქტორი
მიწების უცბად გადასახნელად.
და შემდეგ სოფელს სიხარულს აძლევს
დარაზმულ ბავშთა მწყობრი სიმღერა,
ევლინებიან მიდამოს, არეს
ახალ ცხოვრების ულეველ დენად...

ელიზბარ პოლუმორდვინოვი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხომალდი „ზაჰესი“

## I.

(სურათი)

— შენ, ეი, პატარა ეშმაკო, ფრთხილად, არ გადავარდე!.. გააფრთხილა დედამ პატიკო, როცა ის ხომალდის წინა ცხვირს მიუახლოვდა და მოაჯირის მაგივრად შემოვლებულ თოკს ჩამოეკონწიალა...



— ნუ გეშინია, დედა, მიუგო მან და გულზე ხელები გადაიჯვარედინა ამაყი მეზღვაურივით, როგორც მას სურათებში ენახა ხოლმე...— მე, დედიკო, როცა გავიზრდები, უეჭველად მეზღვაურად უნდა შევიდე შავ ზღვაზე; ჯერ აქ შევეჩვიო...— დაუმატა მანვე, რითაც გულიანი სიცილი გამოიწვია დამსწრე მგზავრებში..

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა ხომალდი კი მიცურავდა პომპეუსის ხიდიდან ზაჰესის ტბისკენ. სახელად ერქვა: „ზაჰესი“ და მისი მოტორის ხმაური აგუგუნებდა არეს, მტკვარი კი რაღაცას ბუტბუტებდა გულჩათხრობილი, თითქოს მოტიკტიკე ბავშივით ცდილობს ენის ამოდგმასო. და, მართლაც, მრავალ დროების უტყვი მოწმე, ლაღი, დარდიმანდი, უსაქმობას ჩვეული, ახლა, ახალი დროით აღვირ ამოდებულ ცხენივით ერთალაგს ტრიალებდა, არაგვის შესართავთან, სადაც მას საუკუნეებით გაკაფულ გზას რკინის ფარები ზღუდავდენ დუღაბ ამოყვანილ ბურჯებით და გზას უქცევდენ ახალ ცემენტის ორღობეში, იქ, სადაც უზარმაზარი ლენინის ბრინჯაოს მეგლი ამაყად გამოიყურება თლილი ქვით აზიდულ კვარცხლბეკიდან და მიუთითებს მშრომელ ხალხს მტკვრის ვარდნილისკენ, დიდი შრომის მეუფების კომუნისაკენო...

მტკვარი ეხლება რკინის ფარებს, შუბლს ილეწს ბურჯებზე და ნახევრად აწეულ ფარების ქვეშიდან ღრიალით ეცემა დაბლა, ლოდებზე, ტრიალებს მორევად; მისი აქაფებული ტალღები ზვირთებს იგდებს თავზე...

## II

— აგერ ის რა არის, დედიკო? აი ეს?— ზედიზედ ეკითხება პატიკო, რა ზაჰესის ირგვლივ მიდამოებს უყურებს, მცხეთას, ჯვარის მონასტერს, წიწამურს, პიტალო კლდეებს, ბებრის ციხეს, არაგვის ხეობას და, შორს,— კავკასიონის ცად აწვდილ მთებს, რომლებიც ღრუბლებში მიმალულან. დედაც უხსნის ყველაფერს, ეუბნება...

მზიანი დღეა, მაგრამ საშინელი ქარი ქრის, მტვრის კორიანტელს აყენებს საქართველოს სამხედრო გზაზე, სადაც მიქრის ავტომობილები...

ზაჰესის ტბა ღელავს, ზღვას გავონებს. თბილისიდან ამოსული მცურავები ერთმანეთს ეჯიბრებიან პირველობაში, რა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგან დღეს, ნაოსნობის დაწყების პირველ დღეს, საქართველოს პროფკავშირთა კულტურულ განყოფილებას მოუწყვია შეჯიბრება ჯილდოზე...

პატარა ხომალდი კი აკეთებს რამდენიმე რეისს, გზას, მტკვრის აღმა-დაღმა, რომელსაც ასდევნებიან ნავი „თამარა“ და სხვები. ისმება ნიჩბები, მაგრამ „ზაჰესს“ რა დაეწევა! და პა-



ტიკოს სიხარულსაც საზღვარი არა აქვს... მაგრამ ეს რა ხდება? ქარი თავის გიჟ აფრებს დიდი სიმძლავრით ჰშლის, ნიჩბის მომსმელებს უჭირთ, იღლებიან, ტალღები კი მიაქანებენ წინა ნავს. აჰა, საცაა კლდიან მოსახვევში უნდა დაეჯახოს ლოდს... მომსმელები ცდილობენ გადარჩენას, მაგრამ... მტკვარი ვიდრე ტბას შეუერთდებოდეს, თითქოს ერთხელ კიდევ იჩენს თავის ახალგაზრდობას, ნავს გვერდზე აყირავებს. ცურვა ვინც იცოდა, გადიან და თან შველიან ცურვის უცოდინრებს, მაგრამ ის პატარა ბიჭი ვიღაა, შველას რომ ითხოვს? ვიღაც პიონერი. და პატიკო ხედავს მას, მისი გული ვეღარ დგება აქ,

ხომალდის ბაქანზე, მაგრამ შორსაა. ის პირველად ამჩნევს ამ უბედურებას და უყვირის, ეხვეწება ხომალდის მმართველს, უფროსს, რომ საშველად გააქანოს იქით... ხომალდმა ერთი კამარა შეჰკრა მარცხენა სანაპიროებისაკენ. შემობრუნდა და გაექანა გადაბრუნებული ნავისაკენ: პატარა პიონერს კი ტბის უბეში მიაქანებს მტკვარი. შეშინებული, გალურჯებული ბავში ვეღარ იღებს ხმას, მხოლოდ ხელებს-ღა იქნევს...

პატიკოს არც კი უფიქრია რას შვრებოდა, ისე გადაეშვა წყალში საშველად. სურდა ამხანაგი პიონერის დახსნა. მისი თავგანწირვა ყველას აკვირვებდა: დედა კი თავში იცემდა. არ იცოდა, რა ექნა. პატიკომ პატარა პიონერს ქოჩორში დასტაცა ხელი და ნებას არ აძლევდა მობღაუჭებოდა, რადგანაც გაგებული ჰქონდა, რომ ვინც იხრჩობა, არ უნდა მისცე შენზე ხელის ჩავლების საშუალება, თორემ შენც დაგღუპავსო...

ეს ყველაფერი იცის პატიკომ, მაგრამ ცურვა რომ არ იცის, რა ჰქნას? იბრძვის... ცალხელს და ორივე ფეხს იქნევს, აი, ისე, როგორც ნამდვილი მოცურავენი, რომლებსაც ის ვერაზე, სატივეზე, ხედავდა ხოლმე ბანაობის დროს. ხომალდიდან გადმოუშვეს საშველად ლურჯსალათიანები. ერთი... ორი... ერთმანეთს ეჯიბრებიან გადასარჩენად მალე მისვლაში და...

## III.

პატარა ხომალდი შეჩერდა... პატიკო და მისგან გადარჩენილი ბავში, რომელიც უგრძნობლად იყო, ბაქანზე აიყვანეს, ტანისამოსი გახადეს და დაათბუნეს მატორთან. გადაბრუნებული ნავი თოკით მოუბეს ხომალდს, ნაპირზე რამოდენიმე გადარჩენილებიც აიყვანეს ზედ და გასწიეს ზემო ნავთსადგურისკენ, სადაც აუარებელი ხალხი ელის ამბავს...

ბავში მოასულიერეს, რაც წყალი ჰქონდა ნაყლაპი ხელების ცოტა ხნის თანხმოვანი ქნევით გადმოაღვრევინეს, და იქვე ახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლო აფთიაქში გაგზავნეს პირველი დახმარების აღმოსაჩენად. მას მასწავლებელი და პიონერები შემოეხვიენ, მიულოცეს გაგადარჩენა, თავს ევლებოდენ...

— ვინ იყო ის ბავში, რომელმაც დაგიხსნა? — ეკითხება მასწავლებელი.

— არ ვიცი, ის სხვა კოლექტიველი იყო... — მიუგო ბავშმა კანკალით. ციოდა, ქარი ქროდა...



ამ დროს კი დედა სტუქსავდა და თან ტიროდა, ტანისამოს უწურავდა, ეხვეოდა პატიკოს, რომელიც იღიმებოდა, ხმას არ იღებდა...

— შე ცელქო, მოუსვენარო, რაზე გამიხეთქე გული, რომ დამხრჩვალიყავი, რაღა უნდა მექნა? ან რა შენი საქმე იყო, რა კარგი მცურავი შენ იყავი, რომ გაეშვი, ა? — ეუბნებოდა დედა...

— მაშ რა მექნა, დედიკო? ამხანაგი იღუპებოდეს და მე ისე ვიდგე?! აქ თუ არ შევეჩვიე ცურვას, გაბედულებას, მაშ რო-

გორი მეზღვაური ვიქნები შემდეგ? მე რომ გავიზრდები, ზღვარზე უნდა ვიარო, გადავლახო ოკეანები, ვიმოგზაურო მთელს ქვეყანაზე, ვნახო ის ზღაპრული კუნძულები, რომლებზედაც შენ ხშირად მელაპარაკები ხოლმე,—ეუბნებოდა პატიკო დარცხვენით და კისერზე ჩამოეკიდა დედას...

შეკრებილი ხალხი კი გაკვირვებული, მოღიმარე შეჭყურებდა ამ გაბედულ ბავშს და ყოველ მის სიტყვაზე ტაშს უკრავდა...

— ყოჩაღ, ყოჩაღ, საყვარელო ბავშო...—ისმოდა აქეთ-იქიდან...

ქარი კი ქროდა, მზე უღონო სხივებს ტბაში აბანავებდა, ორთქლმავალი კიოდა ტფილისში დასაბრუნებლად, მტკვარი კი მოკიჟინე ბავშების სიმღერაში უკვე მეორე სიტყვას უმატებდა პირველს, სალაპარაკოდ ემზადებოდა...

— ზ... ა... ჰ... ე... ს... ი... ს... ი... ნ... ა... თ... ლე...

ისმოდა ქვედა სადგურის მანქანების ხმაურობაში...

ნაომარი მტკვარი აქ უკვე თავისი ძველი გზით მიექანებოდა და რაღაცას ლუღლუღებდა, ალბად მესამე სიტყვის სათქმელად:

— ე... ლ... ე... ქ... ტ... რ... ო... ფ... ი... კ...ა... ც... ი... ა...

**მაყვალა—ზაირი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ალაზნის ველზე.

ოჰ, როგორ მიყვარს, ბნელ ღამეში ალაზნის ველზე
ლარივით გზაზე ურმები რომ გაგრძელდებიან!
ხანა ღიღინებ, ხან-კი ძილი გერევა თვალზე,
და კამეჩები კუდის ქნევით იცოხნებიან.

ელი მთვარესა და კიდევაც ამოჰყო თავი,
გააჩირაღდნა არემარე, ბნელით მოცული;
გამოგეფხიზლა, გაიზმორე, გაშალე მკლავი,
ღიღინებ ტკბილად, თვალებიდან გაგშორდა რული!

აგერ, შორს, ნაზად ურმულის ხმამ გაიწკრიალა;
ყველა დადუმდა: ყურს უგდებენ მომხიბლავ ხმასა,
მთვარე კაშკაშებს, მთვარე ბადრი, მთვარე ციალა.
მიდის ურმები და ნელ-ნელა ჰკვეთავენ გზასა.

მიუახლოვდენ ალაზანსა დინჯ მოდუდუნეს.
ალაზნის დუდუნს ურმულის ხმა უხმატკბილდება,
ჭალების ნაპირს საქონელსა უღლები მოხსნეს,
და ღამის გუშაგს განთიადიც უახლოვდება.

შალვაშვილი.

F 1929
საჯარო ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# სპილოს მეხსიერება.

ერთხელ ერთ პატარა ქალაქში ცირკმა გაიარა გზად. ცირკში ბევრნაირ ცხოველს გარდა სპილოც იყო. როდესაც სპილო მიჰყავდათ ქუჩებში, ხალხი ჩერდებოდა და ათვალიერებდა. ერთმა მედუქნემ კართოფილიც კი გამოუტანა თავისი დუქნიდან და გაუმასპინძლდა მას. სპილომ სიამოვნებით შეჭამა კართოფილი.



გავიდა რამდენიმე წელიწადი. სპილო ხელმეორედ გაატარეს ამ ქალაქში და დარჩენ ღამის გასათევად. სპილოს გაახსენდა ეს ქალაქი, მედუქნის გამასპინძლება, ღამე გამოსტეხა თავისი გალია და დილით ადრე, როდესაც ჯერ კიდევ ყველას ეძინა, გასწია ამ მემწვანილის დუქნისკენ. დუქანი ჯერ კიდევ დაკეტილი იყო. სპილოს ბევრი არ უფიქრია, გასტეხა კარი და გაოცებულმა დაინახა, რომ დუქანში ბოსტნეულს გარდა აუარებელი ხილი იყო.

დიდი სიამოვნებით შეუდგა ეს დაუპატიჟებელი სტუმარი ჭამას. ხანსლავდა ყველაფერს: კართოფილს, კომბოსტოს, ვაშლს, და სხვას, ყველაფერს, სანამ არ მივიდენ მდევრები და არ წამოიყვანეს.

ნინო ნაკაშიძე.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მელია და მაჩვი.

მაჩვმა მონახა ფხვიერი მიწის გორაკი დაბურულ ტყეში, ცივი ნაკადულის მახლობლად და შეუდგა თავისთვის სოროს თხრას.

მთელი დღე შრომობდა მაჩვი. ისე იყო საქმეში გართული, რომ სრულიად არ დაუნახავს, თუ როგორ შეჩერდა გზად მიმავალი მწყემსი, როგორ უთვალთვალებდა მას და როგორ მიიმალა მერე ბუჩქებში და სოფლისაკენ გასწია.

არ დაუნახავს მაჩვს არც მელია, რომელიც ნადირობის შემდეგ გამოსაძინებელ ადგილს ეძებდა. სოფელში იყო და ქათმის ხორცით გამძღარი მობრძანდებოდა.



მელიამ კი მაჩვი შეამჩნია...

გაუკვირდა ძალიან—რა ამბავია, რომ მაჩვი ასე გულმოდგინედ მუშაობს ამ საღამოს ჰირადო.

მივიდა მელია გორაკის ახლოს, მაჩვი კი განაგრძობს მუშაობას, თხრის თათებით მიწას და ჰყრის სოროდან, ფუსფუსებს, ფრუტუნებს, მელიას ვერ ამჩნევს.

ჩამოუშვა მელიამ ზრდილობიანად კუდი მიწაზე და უთხრა:

— გამარჯობა მაჩვო! აქ ახლოს გამოვიარე და გამიკვირდა, ვინ მუშაობს ასე გაცხარებით ღამე მეთქი და წამოვედი სანახავად. რას აკეთებ?

მოიხედა მაჩვმა მელიასაკენ, გადმოყარა მიწა და მიწვა დასასვენებლად.

— განა ვერ ხედავ, რას ვაკეთებ?—მიუგო მან უხალისოდ.—მე შეჩვეული ვარ ღამღამობით მუშაობას და დღისით

დასვენებას, მაგრამ ახლა სასწრაფო საქმე მაქვს და დღითა და ღამით მიხდება მუშაობა.

— ერთი უყურეთ,—გაიკვირვა კიდევ უფრო მელამ.—რა მოგივიდა ისეთი, რომ ასე სასწრაფოდ გიხდება სოროს თხრა?

მაჩვს გაეცინა მელიას უგნურებაზე მან არ იცოდა, რომ მელია თავს ისულელებდა.



— განა ვერ გრძნობ, რომ სადაცაა, ზამთარი მოვა?—უთხრა მაჩვმა,—ზამთრისთვის კი საჭიროა კარგი სორო, თორემ ზამთრის ძილის დროს შეიძლება გაიყინო.

— აჰა, მადლობელი ვარ, რომ მასწავლე.—გაუხარდა მელას,—მართლაც რამდენიმე დღეა ვამჩნევ, ცივი ქარი ქრის. ჩემთვისაც საჭიროა სოროს გაკეთება, მაგრამ ფეხები მტკივა. გამიკეთე, მეირფასო მაჩვო, ერთი პატარა სორო,—შეეხვეწა მელია მაჩვს და შემოიკეცა უკანა თათი.



დაფიქრდა მაჩვი, შეებრალა მელია, არ იცოდა, რომ თავს განგებ იკატუნებდა, თორემ თვითონაც კარგად შეეძლო სოროს ამოთხრა.

— რით გადამიხდი სამაგიეროს, სორო რომ გაგიკეთო?ჰკითხა მაჩვმა.

— მადლობას გეტყვი.

— არა, ჩემო კარგო, გასწიე შენი გზით. ამისთანა შრომის სამაგიეროდ მარტო მადლობა! არ მცალია მე შენთან სალაპარაკოდ. სამი ხვრელი კიდევ უნდა გავიყვანო მიწის ქვეშ სასიარულოდ.

მიუბრუნდა მელიას ზურგით მაჩვი და ისევ შეუდგა მუშაობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეწეინა მელიას, მაგრამ რას იზამდა, გაუდგა გზას დასამინებელი ადგილის მოსანახავად სადმე ნაძვს ქვეშ, ან დაგროვილ ჩინჩხვარში, თბილსა და მშრალ ადგილას.

მთელი კვირის განმავლობაში მუშაობდა მაჩვი. დაიღალა, არ უსვამს, არ უჭამია, როგორც რიგია, ხვრელები გაჰყავდა.

მთელი ლაბირინტი გათხარა პატარა გორაკის ქვეშ.

შუა ადგილას დიდი ოთახი გააკეთა, შემოალაგა შიგ ხმელი ფოთლები, ხავსი და მოაგო იატაკი.

თბილი ქვეშსაგები გაიკეთა. ოთახიდან სამი ხვრელი ჰქონდა გაყვანილი სასიარულოდ.



ერთი ნაკადულთან მიდიოდა, რომ ახლოს ჰქონოდა დასალევი წყალი.

მეორე—სამხრეთით, რომ მზეზე შესძლებოდა თბობა.

მესამე კი პირდაპირ ტყეში, ხშირ ბუჩქებში. ეს საიდუმლო გასავლელი იყო გასაქცევად იმ შემთხვევისათვის, თუ წინა ორი ხვრელიდან მტრები მიესეოდენ.

გააკეთა მაჩვმა სორო, დაწვა შესასვლელთან და დაისვენა. ხედავს ისევ მოდის მელია კოჭლობით.

— გამარჯობა, მელია, რატომ კოჭლობ?—უთხრა მაჩვმა.

— ოჰ, ნუღარ მკითხავ!—მიუგო შეწუხებულმა მელიამ,—ზამთრისათვის ვემზადებოდი. სოროს ვსთხრიდი და მტკივანი ფეხი ამოვიგდე. ნეტავი შეგბრალებოდი და გაგეკეთებია ჩემთვის სორო. ნება მომეცი დავათვალიერო, უთუოდ მშვენიერ სოროს გაიკეთებდი. შენ ხომ დიდი ხელოვანი ხარ სოროების თხრაში.

მელიას ქებაზე მაჩვმა სიხარულით დაიღრუტუნა.

— არა, ჯერ არ დამიმთავრებია მუშაობა. ჯერ კიდევ შემოდგომაზე სანოვაგე უნდა მოვიმარაგო, აი მაშინ კი დავისვენებ, როგორც რიგია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელია კი სოროსკენ მიიწევს ჩასახედავად.

მაჩვი აიბურძგა სიბრაზით და დაიყვირა:

— არ მოხვიდე ახლოს, მე სუფთა ჰაერი მიყვარს და შენ კი საძაგელი სუნი აგდის.

— არა უშავს, ამომითხარე პატარა სორო, სამაგიეროდ სოფლიდან ქათმებს ამოგიყვან.

— არაა საჭირო შენი ქათმები. მე მცენარეების ძირებით და და კრაზანას თაფლითაც იოლად მივდივარ. ხორცეული არ მიყვარს. წადი, უმჯობესია, აქ რას ტრიალებ!

გაჯავრდა მელია, გაიქნია კუდი და გაცუნცულდა ტყეში. გზაში მოტრიალდა მაჩვისაკენ და დაუყვირა:

— არ გინდა ნებით ამომითხარო სორო,—მალად გაგაგდებ მაგ შენი ბინიდან გახსოვდეს ჩემი სიტყვა.

სთქვა და ტყეში მიიმალა.

დაღამდა.



ცა ვარსკვლავებით მოიჭედა. ფრინველებმა და ცხოველებმა დაიძინეს. მარტო მაჩვს არ ეძინა.

მაჩვმა ამოჰყო ცხვირი სოროდან, ფრთხილად დასუნა ჰაერს არის ვინმე თუ არაო, მერმე ამოსწია თავი და მიიხედ-მოიხედა.

ირგვლივ სრული სიწყნარე იყო.

ხეების ზევიდან მთვარე დიდი ხაჭაპურივით ამოცოცდა, ტყე შრიალებდა და ნაკადული მორაკრაკებდა გორაკის ძირას.

მაჩვი ამოძვრა სოროდან, გაიქცა ნაკადულისაკენ წყლის დასალევად და მერე მოკურცხლა ტყეში შემოდგომის მარაგის მოსაგროვებლად, საჭმელად გამოსადეგი ძირების ამოსათხრელად.

მთელი ღამე ტყეში გაატარა მაჩვმა. შეაგროვა ძირები, დააგროვა სხვადასხვა ადგილას და დამალა, რომ მეორე დღეს გადაეტანა თავის საკუჭნაოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გათენებისას გაიქცა შინისაკენ.

ის-ის იყო, უნდა შესულიყო სოროში, რომ სოროდან მელიას სუნი ეცა.

შეძვრა შიგ მაჩვი და რას ხედავს: იქაურობა არეულ-დარეული, აფორიაქებული, დასვრილი და გაბინძურებულია.

გიჟივით გამოვარდა გარეთ. ვერ აიტანა მელიას სიმყრალე, პირდაპირ წყაროსაკენ გაქანდა და შიგ ჩაიყურყუმალა გასაბანად. წყაროდან კი ტყისაკენ გაიქცა და იმისი კვალიც კი აღარსად ჩანდა.

მეორე დღეს მწყემსმა გადასწყვიტა სანადიროდ წასულიყო. ნახირის თვალყურის დევნება პატარა მენახირეებს მიანდო, თვითონ გადაიკიდა მხარზე გრძელი თოფი და გაუდგა ტყისაკენ.



მიდის და ფიქრობს გზაში: — რა კარგი იქნება ახლა მაჩვი რომ მოვკლა! შემოდგომაა, ქონი ექნება კაი მალი, ფეხსაცმელების გასაქონავად ჩინებული იქნება, ქვავი და წვიმა ვეღარ გაატანს ტყავში. ჯაგარიც გამოგვადგება ოჯახში.
მალე მოძებნა მაჩვის სორო, იპოვნა სამივე სასიარულო ხვრელი ერთი ხვრელი, რომელიც სამხრეთით გამოდიოდა, ქვებით ამოქოლა. საიდუმლო ხვრელში ჩატენა ხავსი, ფოთლები, ხმელი ჩინჩხვარი და ცეცხლი წაუკიდა.

ტკაცა-ტკუცი აუყენა ცეცხლმა. კვამლი დატრიალდა საშინელი.

მწყემსი კი ამასობაში გაიქცა ნაკადულისაკენ, დაიმალა ბუჩქებში სოროსთან ათი ნაბიჯის სიშორეზე და უცდის.

გავიდა სოროს ხვრელში ბუხრის მილივით კვამლი, მიაწია მაჩვის საწოლ ოთახს.

ჩქარა გამოჩნდა კვამლი იმ ხვრელში, რომელიც ნაკადულთან გადიოდა.

მწყემსი მოემზადა, მოიმარჯვა თოფი ხელში, კონდახი მხარზე მიიდვა, თოფის პირი ბუჩქებიდინ პირდაპირ სოროს მიუშვირა.

უცებ სოროდან წითური ნადირი გამოხტა.

იგრიალა თოფმა.

ნადირი დაბორძიკდა და მკვდარი დაეცა.

გამოხტა ბუჩქებიდან მწყემსი, მიირბინა ნადირთან, უყურებს, თვალებს არ უჯერებს.

— დახეთ ერთი! მაჩვის მოსაკლავად წამოვედი და მელია კი მოვკალ. ნეტავი ყოველდღე ასე მოხდებოდეს! ტყავს კარგ ფასად გავყიდი. ახია მელაკუდაზე: სხვის სახლში შეძვრა და მახეში კი გაება.

შეუკრა მწყემსმა მელას უკანა თათები, გადიგდო მხარზე და გასწია სოფლისაკენ.

მაჩვმა კი ისევ ამოთხარა თავისთვის ახალი სორო და ისეთ ადგილას ამოთხარა, რომ ვერავის მიეგნო. ჩაალაგა შიგ მთელი საკუჭნაო გემრიელი მცენარეების ძირები, თბება ყოველდღე მზეზე და დამშვიდებით ელის ზამთარს.



იაპონელი ბავშები.

# თაფლა ცხენი.

დაბადებიდავე ცხოვრობდა თაფლა ცხენი გლეხ სანდროსთან, რომელმაც დიდი გაჭირვებით იყიდა რამდენიმე თვის თაფლა და ხელზე გაზარდა. მას აქეთ თაფლა და სანდრო განუყრელი მეგობრები იყვნენ ჭირში და ლხინში. მაგრამ თაფლას სანდროს ოჯახში უფრო მეტი გაჭირვება ახსოვს, ვიდრე სიხარული. ან კი რა ჰქონდა სანდროს სასიხარულო! მიწა ცოტა ჰქონდა, ხოლო სარჩენად დიდი ოჯახი. ერთი თაფლა ცხენის მეტი სხვა საქონელი მას არ გააჩნდა.

ამ თაფლას კისერზე იყო: ხვნა, თესვა, ფარცხვა, შეშის ზიდვა, ქალაქში წასვლა, წისქვილში საფქვავის წაღება და კიდევ ბევრი რამ სხვა, რაც კი ოჯახს დასჭირდებოდა. ამიტომ თაფლას და სანდროს დღედაღამ უხდებოდათ შრომა, მარა სანდრომ მაინც თავის ოჯახი წინ ვერ წასწია. აბა, სანდრო ერთი ცხენით რას გახდებოდა ამოდენა ოჯახში, და მთელი წლის განმავლობაში თაფლაც და სანდროც შეუსვენებლივ მუშაობდენ, მაგრამ კუჭს მაინც ვერ იძღებდენ. სანდროს დიდი სურვილი ჰქონდა, რომ მისი ერთადერთი ოჯახის მარჩენალი თაფლა შეესვენებინა, მარა მაშინ ხომ სანდრო წლის სარჩოს ვეღარ შეიტანდა ოჯახში და უფრო გაუარესდებოდა მისი მდგომარეობა.

უკვე თხუთმეტი წელია რაც თაფლა სანდროს ოჯახში მუშაობს და ასე ცუდად არაოდეს არ უგრძვნია თავი, როგორც ახლა. აგონდება თაფლას, რომ სანდროს გასალეწი აქვს და მარტო მან და სანდრომ უნდა იტრიალონ ამ სიცხეში კალოზე. არა, თაფლას აღარ აქვს ამის თავი, მოხუცდა. თან უკვირს, რომ სანდრომ ამდენ ხანს გააჩერა ის უმუშავრად. უცებ თაფლას შემოესმა რაღაც მძიმე ქშენა და გრიალი. თაფლამ თავის კალოზე დაინახა რაღაც საშიშარი, რომელიც ისე მძი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედ ქშინავდა. მას გარს შემოხვეოდენ გლეხები და ბავშები. თაფლას ვერ გაეგო, თუ რა ამბავი იყო. ამ ფიქრებში რომ იყო თაფლა გართული, მოირბინა სანდრო ბიჭმა, თაფლას ყელზე მოეხვია და ეუბნებოდა:

„თაფლა, ჩემო თაფლა! მოგივიდა შენი მაგიერი. ახლა კი დაისვენებ. ჩვენ სოფელში სალეწი მანქანა მივიღეთ, აგცდა კალოს ლეწვა. ახლა მე შენ გაბანავებ და სადაც დიდი ბალახია, იქ დაგაბამ, რომ მოღონიერდე“.

თაფლა ცუდ გუნებაზე დადგა. მან კარგად იცოდა, რომ თუ ის საჭირო აღარ იქნებოდა, აღარც შეინახავდენ.

ერთ დღეს სანდრომ თაფლა ურემში შეაბა და ტფილისში წავიდენ. იქიდან მათ ერთი კასრი ბენზინი წამოიღეს და მოიტანეს მინდორში, სადაც თაფლა შეხვდა თავის მაგიერ უცხოელს, რომელიც წყნარა იდგა, არც ქშინავდა და არც გრიალებდა. სანდრომ ჩამოიღო ბენზინი და სამიმარ სტუმარს პირში ჩაასხა. სტუმარი რომ გაძღა, მოუბრუნდა თაფლას და უთხრა: „ტყუილად გეშინოდა შენ, ჩემო მეგობარო, ჩემი. მე შენ მხოლოდ შეგასვენებ, ყველაფერ მძიმესა და შავ საქმეს მე გავაკეთებ. კმარა რაც აქამდე იტანჯა გლეხკაცობა! ახლა ცხოვრება გაუმჯობესდა, ყველამ უნდა შეისვენოს.

შენ ჩემთვის დაგჭირდება მხოლოდ ბენზინის მოტანა და სხვა უფრო მსუბუქი საქმეების შესრულება.

მე ორმოცდაათი ცხენის ძალა მაქვს. შენ მარტო ვერას გახდები, მე ვარ ახლა შენი მაგიერი, შენზე უფრო მძლავრი“.

სეტოვი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ქრისტეფორე კოლუმბი.

## ოქროს ინდოეთი

ერთხელ ქრისტეფორე კოლუმბი და მოხუცი კაპიტანი ისხდენ მაგიდასთან, ღვინოს შეექცეოდენ და წყნარა ბაასობდენ.

— დიახ, — სთქვა მოხუცმა, — ეგ რა არის! . შენ ინდოეთი უნდა ნახო: — ძვირფასი ქვები კასრებით მოჰქონდათ ჩვენთან. მე ერთი რაჯა ვნახე, იქაური თავადი, რომელსაც ყველაფერი ოქროსი ჰქონდა სასახლეში, რისთვისაც კი უნდა მოგეკიდა ხელი.

კოლუმბი უსმენს. მოხუცს ბევრი უმოგზაურია, ვინ იცის, რა არ უნახავს. მთელი ქვეყნიერება შემოუვლია, მოხუცი მეზღვაურია!

კოლუმბი კი მხოლოდ ახლახან გახდა კაპიტანი, მას არაფერი უნახავს მახლობელი ხმელთაშუა ზღვის მეტი და ერთხელ მხოლოდ ატლანტის ოკეანეშიც იყო.

— შორს არის ინდოეთი, არა? — ჰკითხა კოლუმბმა.

— აი, მარკო პოლო ორი წელიწადი მოგზაურობდა...

მოხუცმა ხელი ჩაიქნია: სულერთია, ვერ მიცურავო.

კოლუმბს კი ძალიან უნდოდა ზღაპრულ ქვეყანაში მოხვედრილიყო, სადაც ძვირფასი თვლები კასრებითაა და სასახლეებში კი ყველაფერი ოქროსია.

## ორი წლის გზა.

ყოველთვის, როგორც კი შეხვდება კოლუმბი მოხუც კაპიტანს, უსათუოდ ინდოეთზე ჩამოუგდებს ლაპარაკს და თანდათან მეტ საოცარ ამბავს ისმენს. მაიმუნებზე და უცხო სანახავ ლამაზ ფრინველებზე უამბობს მოხუცი მას. მოხუცმა აგრეთვე გზის შესახებაც უამბო: საჭიროა ოკეანეში გასვლა, აფ-

რიკის გარშემო შემოვლა, შემდეგ კი აღმოსავლეთისკენ გზის დაჭერა. ორი წელი დასჭირდება მგზავრობას. ამან კოლუმბი დაადონა: თუ ორი წელია საჭირო, მაშ, ვერაოდეს ვერ შევძლებო,—ფიქრობდა კოლუმბი. მას აგრეთვე აფიქრებდა ერთი რამ: იქნებ შეიძლება იქ მისვლა მახლობელი გზით, რომ ორი წელიწადი არ დასჭირდესო.

კოლუმბმა იცოდა კარგად, რომ დედამიწა ბურთია. წარმოიდგინა, რომ კაცი დედამიწაზე თითქმის იგივეა, რაც ბუზი ბურთზე. ზის ბუზი ბურთზე, მის უკან კი შაქარია მიწებებული, ორი ნაბიჯია მხოლოდ.

სულელმა ბუზმა ირგვლივ შემოუარა და წააწყდა შაქარს, მაგრამ საკმაო იყო უკან მობრუნებულიყო და დაინახავდა.

იქნებ მარკო პოლოც, როგორც ეს ბუზი, ქვეყანას გარს უვლიდა, სულ აღმოსავლეთისკენ მიდიოდა.

,,არა,—ფიქრობდა კოლუმბი,—მე უკან მივბრუნდები, სხვა გზით წავალ. შეიძლება ორი ნაბიჯი იყოს ინდოეთამდე, ისე, როგორც ბუზიდან შაქრამდე.

ახლა კოლუმბი მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რომ იგი სხვა გზით წავიდოდა, ვიდრე მარკო პოლო, და თუ ორი-სამი კვირის შემდეგ არ მივიდოდა და ორ-სამ თვეს მოუნდებოდა,— ეს ხომ მაინც ორი წელიწადი არ არის. საჭიროა მხოლოდ ხომალდის შოვნა,—ფიქრობდა კოლუმბი,—მაგრამ ვინ მომცემს? ვისაც კი ვეუბნები, თითქმის ყველა იცინის—მარკო პოლო ორ წელიწადს მოუნდაო, შენ მას ედრებიო?

## კარგი შემთხვევა.

რვა წელიწადი გავიდა. კოლუმბი უკვე სამსახურში შევიდა პორტუგალიის მეფის კარზე.

ინდოეთი მას არ ავიწყდება. იგი ფიქრობს:

— არა, ასეთი კარგი შემთხვევის ხელიდან გაშვება არ ღირს. პორტუგალიის მეფე იოანეს ხომალდები აქვს. წავალ მასთან და ვახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვენებ რუქას, საითაა ინდოეთისკენ უმოკლესი და ჩქარა მისასვლელი გზა. ნუთუ ისეთი სულელია, რომ ვერ მიხვდება? ფანქრით ხაზს გავავლებ პორტუგალიიდან ინდოეთამდე‘‘.

მოამზადა კოლუმბმა რუქა, პორტუგალიიდან ინდოეთამდე ხაზი გაიყვანა.



მივიდა კოლუმბი მეფესთან, სთხოვა გადაეცათ, რომ ფრიად საჭირო საქმისთვის იყო მისული. ამ დროს კი ფიქრობდა: ,,ნუთუ უარს იტყვის მეფე?‘‘.

მოახსენეს მეფეს, გენუელი მეზღვაურია, რაღაც ქაღალდით მოვიდა საჭირო საქმისთვის. მეფემ დაუძახა კოლუმბს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— მეფე, მე ინდოეთში მინდა წასვლა,— უთხრა კოლუმბმა,— მომეცი ხომალდი.

— სად? შენ ხომ გზაც კი არ იცი, ვერ იპოვნი, იცნობ მარკო პოლოს?..

უამბო მეფემ კოლუმბს ის, რაც მან უკვე დიდი ხანია იცოდა: რომ ორი წელია საჭირო მოგზაურობისთვის.




,,სწორედ ახლაა დრო რუქა გადავშალო"— იფიქრა კოლუმბმა. მეფის წინ რუქა გაშალა და დაიწყო ახსნა. გარს სასახლის მსახურნი შემოერტყენ. ყველას რუქაზე დახედვა უნდა, კოლუმბი კი ლაპარაკობს და მეფეს უცქერის: სჯერა მას თუ არა?

მეფე ყურადღებით უგდებდა ყურს და, როცა კოლუმბმა გაათავა და ისევ თავიდან უნდა დაეწყო, მეფემ უცბად შეაჩერა და ჩაფიქრდა. კოლუმბს გული აუძგერდა, ,,ნუთუ უარს იტყვის?"

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბავშთა შემოქმედება.

## ტფილისიდან ბათუმამდე.

I

წელს მშრომელებმა გადასწყვიტეს საავარაკოდ ანაპას წასვლა.

შკოლიდან დაგვითხოვეს.

მოვემზადეთ სამგზავროდ. დედამ სახლში ბარგი მიალაგა. ოთახები დავკეტეთ. ეს იყო 18 ივნისს.

თუმცა ღრუბლიანი დღე იყო, მაგრამ ტფილისში მაინც ძალიან ცხელოდა. ათის ნახევარზე გამოვეთხოვეთ ჩვენს სახლს და მეზობლებს.

სადგურში ბევრი ხალხი ირეოდა.

დავბინავდით სუფთა სინათლიან რონოდაში. 10 საათსა და 40 წამზე გამოვედით ტფილისიდან. ღრუბლებს მოფარებული მთვარე ლამაზად აფერადებდა ცას.

გავიარეთ ზაჰესი. მის არე მარეს უხვად ეფინებოდა ელექტრონის სინათლე ჯებირით შეგუბებული მტკვარი დიდ ტბად ქცეულა. ელექტრონის სინათლეზე ტბაში წყალი ლამაზად ლაპლაპებდა.

სწრაფად მიქრის ჩვენი მატარებელი. უკან გარბიან ტიტველი მთები. შრიალებს ჯეჯილოვანი ველი. მატარებელი მძიმედ შედის ლიხის მთის გვირაბში. გამოვეთხოვეთ აღმოსავლეთ საქართველოს.

II

გვირაბში მატარებლის მოძრაობა უფრო ხმიანია. გვაწუხებს სინესტისა და ბოლის სუნი. გვირაბიდან გამოვედით. აქედან უკვე იწყება დასავლეთი საქართველო.

მთები ლამაზად აფერადებულია ტყითა და მწვანით. ჩვენი მატარებელი მისდევს ღელეებს. გზა მეტად დაკლაკნილია და დაქანებული. მოძრაობა საშიშია. გამუდმებით ისმის მუხრუჭების ჩხარა ჩხური.

დავიღალე. დამეძინა.

სამტრედიაში გამომეღვიძა. ჩამოვედით. ვიყიდეთ ბალი და კიტრები. ვნახეთ ხონს მიმავალი ეტლები გამხდარი ცხენებით. გამახსენდა ბებია და ბაბუა. ნეტავი ისინი მანახა! დავბრუნდით რონოდაში. დედამ გვისაყვედურა დაგვიანებისათვის.

დავტოვეთ ფოთის ლიანდაგი. მივყვებით გურიის ლამაზ მთებს. ლიანდაგს მისდევს ახალი მოსახლეობა.

ადგილები ჭაობიანია. ამიტომაც ხის ოდები მაღალ მოცებზე დგანან. იატაკის ქვეშ ქარი თავისუფლად დანავარდობს. ხშირად გვხვდება მოუთავებელი სახლები: დახურულია, მაგრამ არ აქვთ ფანჯრები და კარები.

ზღვა გამოჩნდა ქობულეთში. დიდებული სურათია. ტალღები ნაპირებს ეხეთქებიან. ისმის ზღვის საამური შრიალი. შორს ჰორიზონტზე მოჩანს ბათუმს მიმავალი გემი. ჩავედით ბათუმში.

მიხაკო ფარცხალაძე.

ქ. ანაპა.
30 ივნისი, 1927 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნ ა კ ა დ უ ლ ი.

ჩუხჩუხა და კამკამა ვარ,
ჩემთვის შლილა არე,
ჩემთვის ხსნილა ეს ბაღნარი,
წითლად მოელვარე.

—

ირგვლივ ყველა ფაციფუცობს,
ყველას უცემს გული,
კამკამა და მონარნარე
მოვხტი ნაკადული.

—

მიყვარს მზე და მიყვარს სხივი,
თანაც მათი გული,
პირ მღიმარი, გულმცინარი
მოვხტი ნაკადული.

—

ყველა მიყვარს, არავისთან
არ მაქვს საქმე მტრული,
მზის სხივებთან მოელვარე—
მოვხტი—ნაკადული.

, ქ. სენაკის საბავშო სახლის მოწაფე

აკაკი მოხიავა.

## მეხრეს სიმღერა.

შენ გენაცვალე, გიშერა,
რომ არ უმტყუნებ ტოლსაო,
ისე მიდიხარ გუთანში,
სულ არ დაირტყამ შოლტსაო.

* * *

შენც გაუწიე, ღვინია,
გადავაშავოთ ველია,
ჩვენს ნაშრომს ვერვინ წაგვართმევს,
ნაშრომი მხოლოდ ჩვენია.

* * *

შენ გენაცვალე, გუთანო,
კბილი გაქვს ალმასისაო,
ისე გადასთხრი ბალახებს,
არ დაუტოვებ ძირსაო

## ბამბის ქარხანაში.

ქარხანა ზანზარებს,
ქარხანა გრიალებს,
მისი ბორბლები
სწრაფად ტრიალებს.
ჩხრიალი, სრიალი,
მოძრავი სიჩქარით
ბამბას ცალკე ჰყრის.
ზევიდან ქვევით
კურკა ჩამოდის,
მანქანა სჭყლეტავს
წვენად გამოდის...
ცალკე მზადდება
წვენი სითხითა
და ცალკე ბამბის
მშრალი ფირფიტა.
მანქანის გვერდით
გამოზრდილები
თვისივ ნაშრომის
თეთრი თოვლივით
უდვათ დიდრონი
ბამბის ზვინები.
ქარხანა ზანზარებს,
ქარხანა გრიალებს,
მისი ბორბლები
სწრაფად ტრიალებს,
ქარხნის წვერზედა
დროშა ფრიალებს.

მიხეილ ჯარიაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარმართველობის სალიტერ.-სამხატვრო სექციის ხელმძღვანელობით გამოცემული წიგნების

## ს ი ა

| | | |
|---|---|---|
| 1. | „ნორჩი-ძალა“—კრებული | 12 კაპ. |
| 2. | „ბელა-ბეკეკა“ | 10 „ |
| 3. | „დედაბერი, ტურა და მელია კუდი-გძელია“ | 50 „ |
| 4. | „ბავშვებს“—ლექსები გ. ქუჩიშვილისა | 20 „ |
| 5. | „ტყის ზღაპარი“—მამინ-სიბირიაკისა | 20 „ |
| 6. | „ტყის სურათები“—შიო მღვიმელისა“ | 25 „ |
| 7. | „ჭიანჭველას საოცარი თავგადასავალი“ | 80 „ |
| 8. | „ქართული მოძრავი თამაშობანი | 80 „ |
| 9. | „იგავ-არაკები“—ალ. მირიანაშვილისა | 30 „ |
| 10. | „ივანე-სულელი“—ზღაპარი ლ. ტოლსტოისა | 15 „ |
| 11. | „მოძრავი თამაშობანი“ სიმღერებით—გოგლიჩიძისა | 1 მან. |
| 12. | „ოვიდიუსის მეტამორფოზები“—ალ. მიქაბერიძისა | 70 კაპ. |
| 13. | „ზამთარი“—ფერადი სურათებით. | 50 „ |
| 14. | „უძველესი დროის ბავშის თავგადასავალი“ | 45 „ |
| 15. | „როგორ იცავენ თავს ცხოველები მტრისაგან“ | 25 „ |
| 16. | „გაზაფხული დღ ზაფხული“ | 90 „ |
| 17. | „რას გვიამბობს ოთახი“ | 20 კაპ. |
| 18. | „ზღვის სიმდიდრე“ | 20 „ |
| 19. | „პატარა იაპონელები“—ფერადი ყდით | 75 „ |
| 20. | „სიზმრად და ცხადად“ | 30 „ |
| 21. | „კოცონთან“—ჩვენი უფროსი ძმები, ახალგაზრდა კომკავშირელები“ | 10 „ |
| 22. | „ლენინის საათი სკოლაში“ | 50 „ |
| 23. | „ტაიგის საუნჯენი“ | 40 „ |
| 24. | კომბლე“—ფერადსურათებიანი წიგნი | 65 „ |
| 25. | „პიონერი სოფლად“ | 25 „ |
| 26. | „საბავშო ბაღი“—ფერადი სურათებით | 1 მან. |
| 27. | „ნორჩ პიონერთა თანამგზავრი“ | 20 კაპ. |
| 28. | „მომღერლები“ | 15 „ |
| 29. | „წელთაღრიცხვის ძველი და ახალი წესი“—ჯისკარიანისა. | 35 „ |
| 30. | „თინიკოს გამოცანები“—ფერადი სურათებ. | 45 „ |
| 31. | „საბავშო სახლის ცხოვრება“ | 40 „ |
| 32. | „იყავ მზად“ | 5 „ |
| 33. | „პატარა ჰოლანდიელები“ | 80 „ |
| 34. | „ჩემი პატარა წიგნი“—ფერადი სურათებით. | 50 „ |
| 35. | „მაღალი მთის და პაწია ნაკადულების ამბავი“ (საპირველმაისო ზღაპარი) | 30 „ |
| 36. | „ახალი ორთქლმავალის სიმღერა“ | 25 „ |
| 37. | წითელკანიანები,—პ. ხლებნიკოვისა თარგ. მ. მ-მანისა | 55 „ |
| 38. | საქართველოს პიონერ-ორგანიზაციის მორიგი ამოცანები. | 15 „ |
| 39. | ბავშთა კომუნისტური მოძრაობა მ. ტაბიძისა | 60 „ |

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# 1927 წ.

გ ა მ ო დ ი ს

საყმაწვილო დასურათებული ჟურნალები:

მცირეწლოვ. **„ნაკადული“** ყოველთვიური მე-XXIII წ.

მოზრდილ. **„პიონერი“** ორკვირეული II წ.

**ხელის მოწერა მიიღება წლით და ნახევარი წლით.**

გადაგზავნით:

„ნ ა კ ა დ უ ლ ი“ — ერთი წლით—3 მ. 50 კ.
ნახევარი წლით—2 მ.

„პ ი ო ნ ე რ ი“— ერთი წლით—5 მ.
ნახევარი წლით—3 მ.

ცალკე ნომერი:

„ნ ა კ ა დ უ ლ ი“ – 35 კაპ.
„პ ი ო ნ ე რ ი“ – 25 კაპ.

მისამართი: ტფილისი, რუსთველის გამზირი, № 23, სახელგამი (მესამე სართული). „ნ ა კ ა დ უ ლ ი ს“ და „პ ი ო ნ ე რ ი ს“ რედაქცია. ელსმენი—11—07

რედაქტორი—**სარედაქციო კოლეგია.**
გამომცემელი—**სახელგამი.**

ტფილისი 1/VII—27. ს.ს.მ.უ.ს. პოლ-.ტრ 1-ლი სტამბა შეკ. № 1088/7509 მთავ. № 1218 ტირ. 1500